

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამა

"გეოგრაფია"

(Geography)

მიმართულება: საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელები:

ე.ელიზბარაშვილი - პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი
ი.ჭინჭარაშვილი - ასოც. პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა
კანდიდატი

1. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების
მიერ, ოქმი # __15__, „__30__“ მაისი __2011წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის ხელმძღვანელი

/პროფ. დ. მჭედლიშვილი/

2. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ

ოქმი # __10__, „__6__“ ივნისი __2011წ.

ფაკულტეტის დეკანი

/პროფ. თ. მჭედლური/

3. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ

ოქმი # __16__, „__14__“ ივნისი __2011

წ.უნივერსიტეტის რექტორი

/ თ.ჯავახიშვილი /

თელავი

2011

ფაკულტეტი: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა

კათედრა: გეოგრაფიის

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: გეოგრაფია (Geography)

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილი
ტელ: 825071470, 832235805, 899735886, eelizbar@hotmail.com

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასოცირებული პროფესორი იზაბელა ჭინჭარაშვილი
ტელ: 825070700, 899239353, iza709@mail.ru

აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი (I საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: დამატებითი

სწავლების ენა: ქართული

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

60 კრედიტი დამატებითი სპეციალობა

სწავლების ფორმატი: ლექცია, ჯგუფში მუშაობა, კოლოქვიუმი, პრეზენტაცია, პრაქტიკული მეცადინეობა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

მოცემული (Minor) სპეციალობის არჩევა შეუძლია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტს. ჯგუფში სტუდენტთა მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 8-ს, ხოლო მაქსიმალური რაოდენობა, შეიძლება იყოს, როგორც წესი, 15 (თესაუ რექტორის ბრძანება #340).

იმ შემთხვევაში, თუ მსურველთა რაოდენობა გადააჭარბებს 15-ს, სტუდენტების ჩარიცხვა მოხდება კონკურსის წესით.

კონკურსის დროს უპირატესობა მიენიჭება სტუდენტებს, რომელთაც უკეთესი აკადემიური მოსწრება ექნებათ საგანში "შესავალი კურსი გეოგრაფიაში", რომელიც ისწავლება I კურსის I სემესტრში.

თანაბარი ქულების შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება სტუდენტის მიერ I სემესტრში ჩაბარებული ყველა საგნის აკადემიური მოსწრება.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

პროგრამა დამატებითი (Minor) სპეციალობის: "გეოგრაფია" მიზანია სტუდენტმა მიიღოს სათანადო ცოდნა სამყაროს აგებულების და შემადგენლობის, გეოგრაფიული მეცნიერების

ჩასახვისა და განვითარების, დედამიწის აღნაგობის, ფორმისა და მოძრაობის შესახებ, დედამიწის ზედაპირის არაერთგვაროვნების, აგრეთვე ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, ლითოსფეროსა და ბიოსფეროს, გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების, სტრუქტურის და განვითარების შესახებ. პროგრამა მიზნად ისახავს გეოგრაფიული გარსის აგებულების, დინამიკისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას, ბუნებრივი სისტემების ორგანიზაციის და ფუნქციონირების სივრცე-დროითი ასპექტების და შესაბამისი სწრაფცვალებადი გარემოს შესწავლას პროცესების ოპტიმალური მართვის სისტემის შემუშავების მიზნით, და კვლევის მეთოდოლოგიაში საბაზისო განათლების მიღებას. გარდა ამისა, პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტებს განუვითაროს პრაქტიკული კვლევის ჩატარების უნარ-ჩვევები გარემოს კომპონენტების შესწავლის, რაციონალური გამოყენების, მოდელირების და დაცვის დარგში.

პროგრამის მიზანია ისეთი სპეციალისტების მომზადება, რომლებიც ბუნებაში მიმდინარე პროცესების სივრცე-დროითი ანალიზის საფუძველზე აწარმოებენ ისეთი დასკვნების მომზადებას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფო/ბიზნეს ორგანიზაციების მართვას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.

სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	☐ აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს ☐ აცნობიერებს დედამიწაზე არსებული სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს ☐ შეიძენს სხვა დისციპლინების მრავალფეროვანი მიდგომების ცოდნას, შეუძლია მათი გაგება და გამოყენება გეოგრაფიულ კონტექსტში ☐ პროგრამის დასრულების შემდეგ ბაკალავრს ეწეება ფართო საბაზო ცოდნა რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას.	☐ ფლობს სათანადო ცოდნას სამყაროს აგებულების და შემადგენლობის, დედამიწის აღნაგობის, ფორმისა და მოძრაობის, დედამიწის ზედაპირის არაერთგვაროვნების, აგრეთვე ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, ლითოსფეროსა და ბიოსფეროს, გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებების, სტრუქტურის და განვითარების შესახებ. ☐ აღიქვამს და ესმის დედამიწაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში ☐ აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს ☐ აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება ☐ აღიქვამს და განმარტავს რეგიონების, ადგილებისა და მდებარეობის მრავალფეროვნებასა და ურთიერთდამოკიდებულებას ☐ შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას სამეცნიერო კვლევებში.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	☐ მსჯელობს ზოგად სივრცით და/ან დროით კონტექსტში ☐ იყენებს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით, აქვს უნარი აითვისოს და გამოიყენოს ახალი საველე	☐ შეუძლია კარტოგრაფიული მასალის წაკითხვა და ინტერპრეტაცია ☐ სწორად იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას ☐ განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს

	მეთოდები,დამოუკიდებლად იმუშაოს საველე პირობებში; შეძლებს გამოიყენოს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროები; □აქვს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის უნარი;	საზოგადოებაში და პასუხისმგებლობას □ შეუძლია სივრცეში ორიენტაცია საველე მუშაობის დროს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით □ფლობს საველე კვლევის ძირითად მეთოდებს, აქვს უნარი აითვისოს და გამოიყენოს ახალი საველე მეთოდები,დამოუკიდებლად იმუშაოს საველე პირობებში;
დასკვნის უნარი	□ შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება, დასკვნის გამოტანა	□ მოიძიებს დამოუკიდებლად შესაბამის გეოგრაფიულ ინფორმაციას; აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს, აფასებს, ახდენს მის დოკუმენტირებას, ადგენს შესაბამის დასკვნებს და მოახსენებს შედეგებს
კომუნიკაციის უნარი	□ იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს □ შეუძლია მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია □ შეუძლია ჯგუფში მუშაობა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. შეუძლია ინტერნეტის და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენება ინფორმაციის მოძიებისათვის;	□ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია.შეუძლია მიღებული ცოდნის გადაცემა. □აქვს დამოუკიდებლად და ჯგუფში მუშაობის უნარი; □შეუძლია ინტერნეტის და სხვა ელექტრონული წყაროების გამოყენება გეოგრაფიული ინფორმაციის მოძიებისათვის;
სწავლის უნარი	□ შეუძლია სწავლა და ცოდნის მუდმივი განახლება □სისტემატურად და დამოუკიდებლად მუშაობს ლიტერატურასთან, ფლობს შესაბამის დარგში უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას;	□ შეუძლია დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება, გეოგრაფიული ლიტერატურის მოძიება და შესწავლა. □შეუძლია mudmivad gaecnos da daeuflos siaxleebს გეოგრაფიის საკითხებში □რეგულარულად და დამოუკიდებლად მუშაობს ლიტერატურასთან, ფლობს გეოგრაფიის დარგის უახლეს სამეცნიერო ინფორმაციას;
ღირებულებები	□იცნობს პროფესიული საქმიანობისათვის	□ შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით

	დამახასიათებელ ღირებულებებს ☐ შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა დასახული მიზნის მისაღწევად ☐ შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა	შესრულება ☐ შეუძლია msjeloba sivrciT da droiT konteqstSi, შეუძლია jgufSi muSaoba
--	--	---

სწავლის შედეგების რუკა:

სასწავლო კურსები/მოდულები		კომპეტენციების ჩამონათვალი					
		ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
	I. მოდული-გეოგრაფიული გარემო						
1	ზოგადი დედამიწათმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
2	ლანდშაფტმცოდნეობა	X	X	X	X	X	X
3	კლიმატოლოგია	X	X	X	X	X	X
4	კონტინენტების და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია	X	X	X	X	X	X
5	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	X	X	X	X	X	X
	II. მოდული-ეკონომიკური გეოგრაფია						
1	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	X		X	X	X	
2	საზღვარგარეთის ქვეყნების	X		X	X	X	

	სოციალურ - ეკონომიკური გეოგრაფია						
3	მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები	X	X	X		X	
	III.მოდული- გეოეკოლოგია						
1	გლობალური ეკოლოგია	X	X	X	X	X	X
2	ეკოლოგიური პროგნოზირება	X	X	X	X	X	X
3	გარემოს დაცვა	X	X	X	X	X	X
	IV.მოდული- გარემოს მდგომარეობის კარტოგრაფირებ ა და მოდელირება						
1	კარტოგრაფია	X	X	X	X	X	X
2	გეოგრაფიული მოდელირება და გ.ი. სისტემები	X	X	X	X	X	X

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

უნივერსიტეტის აუდიტორიები, კომპიუტერული ცენტრი, ბიბლიოთეკა, გეოგრაფიის
კაბინეტი;

კახეთის რეგიონის ჰიდრომეტეოროლოგიური ქსელი.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:

(იხ. <http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848>)

შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:

შუალედური შეფასება _ მაქსიმალური 60%

მათ შორის:

2 წერიტი სამუშაო – 30% (15% X 2).

პირველი წერა სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი.

4 ჯგუფში მუშაობა _ 20% ($5\% \times 4$).

ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში ჯგუფში მუშაობით.

1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.

საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან.

დასკვნითი გამოცდა _ მაქსიმალური 40%

დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერიითი სახით.

სტუდენტმა შუალედური შეფასების კომპონენტებით უნდა დააგროვოს სულ მცირე 11 ქულა, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. თუ შუალედური შეფასების კომპონენტებით დააგროვა 51 ქულაზე მეტი, შეუძლია არ გავიდეს დასკვნით გამოცდაზე და ისე მიიღოს შესაბამისი კრედიტი.

შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:

- ა) (A) ფრიადი _ მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი
- ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%
- გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%
- დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%
- ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%

უარყოფითი შეფასებებია:

- ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
- ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

სპეციალობის არჩევანი: დამატებითი სპეციალობის არჩევა ხდება III სემესტრის დასაწყისში (http://tesau.edu.ge/?page_id=2496)

სასწავლო კურსების ანოტაციები:

ზოგადი დედამიწათმცოდნეობა - შეისწავლის სამყაროს აგებულებას და შემადგენლობას, გეოგრაფიული მეცნიერების ჩასახვისა და განვითარების ისტორიას, დედამიწის აღნაგობას, ფორმას და მოძრაობას, დედამიწის ზედაპირის არაერთგვაროვნებას, ჰიდროსფეროს, ატმოსფეროს, ლითოსფეროსა და ბიოსფეროს, გეოგრაფიული გარსის კანონზომიერებებს.

ლანდშაფტმცოდნეობა - შეისწავლება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების (ბტკ) ფორმირების, განლაგების, განვითარების და დინამიკის კანონზომიერებები. განიხილება

ლანდშაფტების სხვადასხვა კლასიფიკაციები. დეტალურად განიხილება ნ.ბერუჩაშვილის ლანდშაფტების კლასიფიკაცია: ლანდშაფტთა გვარები, სახეობები, ტიპები, კლასები.

კლიმატოლოგია - კლიმატოლოგიის სასწავლო კურსი განიხილავს ძირითად კლიმატწარმომქმნელ ფაქტორებს, ამინდსა და ჰავას, სხვადასხვა ფაქტორების გავლენას ჰავის ფორმირებაზე.

კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია - აღნიშნულ სალექციო კურსში განიხილება დედამიწის ბუნების ძირითადი თავისებურებები და ცალკეული კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება.

საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია - სალექციო კურსი განიხილავს საქართველოს გეოგრაფიულ და გეოლოგიურ მდებარეობას, რელიეფს, ჰავას, შიგა წყლებს, ნიადაგებს, მცენარეულობას და ცხოველთა სამყაროს, საქართველოს ბიომრავალფეროვნებას და სტიქიურ ბუნებრივ მოვლენებს, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების და დაცვის საკითხებს.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია - აღნიშნული კურსი განიხილავს საქართველოს ბუნებრივ რესურსებსა და ეკონომიკას (მეურნეობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურების სფერო, საგარეო-ეკონომიკური კავშირები), სოციალურ სფეროს.

საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია - განიხილავს ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკის, ავსტრალიის ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს, ეკონომიკას, მის ცალკეულ დარგებსა და სოციალურ სფეროს.

გლობალური ეკოლოგია - შეისწავლება ბიოსფერო და გეოგრაფიული გარსი, ეკოლოგიური ფაქტორები და პრობლემები, გარემოს დაცვის საკითხები. განიხილება ბიოსფეროს სტრუქტურა, გეოგრაფიული გარსის მთლიანობის კანონი, ეკოლოგიური ფაქტორები, ატმოსფეროს ეკოლოგიური პრობლემები – დაბინძურება, ჰიდროსფეროს დაბინძურება, სამეურნეო მოღვაწეობის გავლენა ხმელეთის წყლებსა და ნიადაგებზე, გლობალური დათბობა და გაუდაბნობა.

ეკოლოგიური პროგნოზირება - შეისწავლება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი ეკოლოგიური პრობლემები, განვითარების გლობალური მოდელები და არსებული პროგნოზები. განიხილება კლიმატის ცვლილების სცენარები და მათთან დაკავშირებული ეკოლოგიური სიტუაციები.

გარემოს დაცვა - შეისწავლება ატმოსფეროს, ჰიდროსფეროს და ლითოსფეროს დაბინძურების საკითხები, მათი დაცვის პრობლემები. განიხილება ბიოსფეროს რეგულირების პრობლემა, ზედაპირული წყლების დაცვა, ზღვის გარემოს დაცვა გემების ექსპლუატაციისგან, ნიადაგების რადიოაქტიულ დაბინძურებასთან ბრძოლის მეთოდები და სხვა. შეისწავლება მნიშვნელოვანი საერთაშორისო გარემოსდაცვითი შეთანხმებები.

კარტოგრაფია - შეისწავლება რუკის და სხვა კარტოგრაფიული ნაწარმოებების შედგენა, გრაფიკული რუკების თავისებურებები, ელემენტები და სახეობები, მათემატიკური კარტოგრაფიის ელემენტები, რუკების ორიგინალების შექმნის პროცესი, გაფორმების, გრაფიკული შეფერადების და გამოცემის საკითხები.

გეოგრაფიული მოდელირება და გ. ი. სისტემები - შეისწავლება ექსპერიმენტებისა და ცდების საფუძველზე დაგროვილი სტატისტიკური ინფორმაციის მათემატიკური დამუშავების მეთოდები. განიხილება სამაგიდო და სტანდარტული გეოინფორმაციული სისტემები: Mapinfo, Geomedia, ArcView და სხვ. ისწავლება გეოინფორმაციული რუკების შედგენის პრაქტიკული მაგალითები.

მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები - სალექციო კურსი განიხილავს ბუნებრივი რესურსების მნიშვნელობას, მიწის, წყლის, მინერალურ, ბიოლოგიურ რესურსებს, საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს ბუნების დაცვაში.

დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის:
"გეოგრაფია" სასწავლო გეგმა

#	მოდული/სასწავლო კურსი	სტატუსი	კრედიტი	კრედიტების განაწილება სასწავლო წლებისა და სემესტრების მიხედვით								საათების განაწილება						სულ საათები	საათების რაოდენობა კვირაში				
				I ს.წ.		II ს.წ.		III ს.წ.		IV ს.წ.		საკონტაქტო					დამოუკიდებელი		ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	ლაბორატორიული სამუშაო	ჯგუფში მუშაობა	სულ
				I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	VII სემესტრი	VIII სემესტრი	ლექცია	პრაქტიკული სამუშაო	ლაბორატორიული სამუშაო	ჯგუფში მუშაობა	სულ							
	I.მოდული-გეოგრაფიული გარემო	სავა ღდება უფო	25									75	130		20	225	400	625	5	7,5		2,5	15
1	ზოგადი დედამიწათმცოდნეობა		5			5						15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
2	ლანდშაფტმცოდნეობა		5							5		15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
3	კლიმატოლოგია		5							5		15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
4	კონტინენტების და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია		5			5						15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
5	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია		5				5					15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
	II.მოდული-ეკონომიკური გეოგრაფია	სავა ღდება უფო	15									45	78		12	135	240	375	3	4,5		1,5	9
1	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია		5				5					15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
2	საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ - ეკონომიკური გეოგრაფია		5						5			15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3
3	მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები		5					5				15	26		4	45	80	125	1	1,5		0,5	3

სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები) (იხ.ცალკე)

პროგრამების ხელმძღვანელების cv (იხ. http://tesau.edu.ge/?page_id=1251) (http://tesau.edu.ge/?page_id=1254)

დამატებითი სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამის: "გეოგრაფია"

სასწავლო გეგმის დამატებითი ცხრილი

#	მოდული/სასწავლო კურსი	კოდი	სემესტრი	კრედიტი	სტატუსი	პრერეკვიზიტი	ლექტორები	ძირითადი ლიტერატურა
	I.მოდული-გეოგრაფიული გარემო							
1	ზოგადი დედამიწათმცოდნეობა	Z.1.G.28	II	5	სავალდებულო	არა აქვს	პროფ. ე.ელიზბარაშვილი ასისტ. პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1. ალფენიძე, მ., ელიზბარაშვილი, ე., ხარაძე, კ., (2003), ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა 2. ელიზბარაშვილი, ე., ჭავჭავაძე, ზ., (1992), ზოგადი დედამიწათმცოდნეობა, ნაწ.1, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა 3. ელიზბარაშვილი, ე., ჭავჭავაძე, ზ., (1992), ზოგადი დედამიწათმცოდნეობა, ნაწ.2, თბ., თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა
2	ლანდშაფტმცოდნეობა	Z.1.G.10	IV	5	სავალდებულო	ზოგ. დედამიწათმც.	პროფ. ე.ელიზბარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1. ბერუჩაშვილი, ნ., (1992), ლანდშაფტმცოდნეობა თბილისი, თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა, სამკითხველო დარბაზი. 3. ბერუჩაშვილი, ნ., კავასიის ლანდშაფტური რუკა თესაუ გეოგრაფიის კაბინეტი.
3	კლიმატოლოგია	Z.1.G.12	III	5	სავალდებულო	ზოგ. დედამიწათმც.	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი მონწ.მასწ. ვლ.გორგიშელი	1. ჭავჭავაძე, მ., (2000), მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა. თესაუ ბიბლიოთეკა
4	კონტინენტების და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია	Z.1.G.31.	II	5	სავალდებულო	არა აქვს	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1. მარგველანი, გ., (2001), ევროპის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 2. მარგველანი, გ., (2000), აზიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 3. მარგველანი, გ., (1999), აფრიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 4. მარგველანი, გ., (1990), ჩრ. ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 5. მარგველანი, გ., (1995), ავსტრალიის და ოკეანეთის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 6. მარგველანი, გ., (1997), ანტარქტიდის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა 7. სამხრეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია (ელექტრონული ვერსია), ი.ჭინჭარაშვილი, 2010.

								8. ოკეანეების გეოგრაფია (ელექტრონული ვერსია), ი. ჭინჭარაშვილი, 2010. იხ. თელავის საჯარო ბიბლიოთეკაში
5	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	Z.1.G.29.	II	5	სავალდებულო	არა აქვს	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი მოწვ.მასწ. ვლ.გორგიშელი	1. საქართველოს გეოგრაფია, (2000), თბ., ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ. გეოგრაფიის კათედრა 2. მარუაშვილი, ლ., (1964), საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ. "ცოდნა". თესაუ ბიბლიოთეკა
	II.მოდული- ეკონომიკური გეოგრაფია							
1	საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია	Z.1. G.54 .	V	5	სავალდებულო	საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1.საქართველოს გეოგრაფია, (2003), თბ., ნან. II. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გეოგრაფიის ინსტიტუტი 2. საქართველოს გეოგრაფია, (2000), თბ., ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ. გეოგრაფიის კათედრა თესაუ ბიბლიოთეკა
2	საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ - ეკონომიკური გეოგრაფია	Z.1. G. 55 .	VI	5	სავალდებულო	კონტ. და ოკეან. ფიზ. გეოგრ.	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1. ცალკეული ქვეყნების ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკა, ი. ჭინჭარაშვილი, (სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია), 2010. თესაუ ბიბლიოთეკა
3	მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები	Z.1. G.14	VII	5	სავალდებულო-არჩევ.	არა აქვს	ასოც.პროფ. ი.ჭინჭარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1. არდია,მ., მარგველანი, გ., (1998), მსოფლიოს ბუნებრივი რესურსები (გამოყენება და დაცვა) თბ., თ.ს.უ. გამომცემლობა, თესაუ ბიბლიოთეკა.
	III.მოდული- გეოეკოლოგია							
1	გლობალური ეკოლოგია	Z.1.G.3 5	IV	5	სავალდებულო	ზოგ. დედამიწათმც.	prof. e.elizbaraSvili mowv.masw. vl.gorgiSeli	1. ელიზბარაშვილი, ე., , ალფენიძე, მ., ხარაძე, კ., (2003), ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბილისი, თ.ს.უ. გამომცემლობა, თესაუ ბიბლიოთეკა 2. ელიზბარაშვილი, ე., სულხანიშვილი,ნ., (2009), გლობალური გეოეკოლოგია (სალექციო კურსი), თესაუ ბიბლიოთეკა
2	ეკოლოგიური პროგნოზირება	Z.1.G.3 6	VII	5	სავალდებულო	გლობალური ეკოლოგია	პროფ. ე.ელიზბარაშვილი ასისტ.პროფ. ნ.ბერძენიშვილი	1.ელიზბარაშვილი, ე., (2007), ეკოლოგიური პროგნოზირება (სალექციო კურსი), ელექტრონული ვერსია, თესაუ ბიბლიოთეკა. 2. ელიზბარაშვილი, ე., (2007). საქართველოს კლიმატური რესურსები, თბილისი, გეონი, თესაუ ბიბლიოთეკა
3	გარემოს დაცვა	Z.1.G.3 7	VIII	5	სავალდებულო	ზოგ. დედამიწათმც.	პროფ. ე.ელიზბარაშვილი	1. ელიზბარაშვილი, ე., (2010), გარემოს დაცვა, სალექციო კურსი, ელექტრონული

							მონწ. მასწ. ვლ. გორგიშელი	ვერსია, თესაუ ბიბლიოთეკა
	IV. მოდული- გარემოს მდგომარეობის კარტოგრაფირება და მოდელირება							
1	კარტოგრაფია	Z.1.G. 41	V	5	სავალდე ბულო	ზოგ. დედამინათმც.	პროფ. ე. ელიზბარაშვილი ასისტ. პროფ. ნ. ბერძენიშვილი	1. ელიზბარაშვილი, ე., (2010), კარტოგრაფია. სალექციო კურსი, ელექტრონული ვერსია, თესაუ ბიბლიოთეკა.
2	გეოგრაფიული მოდელირება და გ.ი. სისტემები	Z.1.G.4 2	VII	5	სავალდე ბულო	ზოგ. დედამინათმც.	პროფ. ე. ელიზბარაშვილი ასისტ. პროფ. ნ. ბერძენიშვილი	1. ხვედელიძე, ზ., ელიზბარაშვილი, ე., (1982), მეტეოროლოგიური ელემენტები და მათი მათემატიკური დამუშავების მეთოდები, თბილისი, თსუ, თესაუ ბიბლიოთეკა. 2. ელიზბარაშვილი, ე., (2009). გეოგრაფიული მოდელირება, სალექციო კურსი, თბ., ზეონი, თესაუ ბიბლიოთეკა